

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის

2011/95/EU დირექტივა

მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების სტანდარტების, ლტოლვილის სტატუსის, ისევე როგორც დამატებითი დაცვის განსაზღვრისას ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისა და მინიჭებული დაცვის არსის შესახებ

(შესწორება)

ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, განსაკუთრებით, 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს,

ითვალისწინებენ რა, ევროკომისიის წინადადებას,

ითვალისწინებენ რა, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის დასკვნას,<sup>i</sup>

მოქმედებენ რა სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად<sup>ii</sup>,

ვინაიდან:

(1) საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/83/EC დირექტივა მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის ლტოლვილის ან საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმის მინიჭების მინიმალური სტანდარტებისა და მინიჭებული დაცვის არსის შესახებ საჭიროებს მთელ რიგ არსებით ცვლილებებს<sup>iii</sup>. სიცხადისთვის, დირექტივა საჭიროებს შესწორებას.

(2) თავშესაფრის ერთიანი პოლიტიკა, მათ შორის, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა წარმოადგენს ევროკავშირის მიზნის შემადგენელ ნაწილს, ეტაპობრივად უზრუნველყოს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის ღიაობა მათთვის, ვინც, შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, კანონიერად ითხოვენ დაცვას ევროკავშირში.

(3) 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს, ტამპერეში ევროპის საბჭოს მიერ გამართულ სპეციალურ შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის შექმნის თაობაზე მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით, რაც დაეფუძნა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციისა ("ჟენევის კონვენცია") და ჟენევის კონვენციის ნიუ იორკის 1967 წლის 31 იანვრის დამატებითი ოქმის ("ოქმი") დებულებების სრულ გამოყენებასა და დანერგვას, რითაც დასტურდება გამძვინვარების დაუშვებლობის პრინციპი და უზრუნველყოფილია ის, რომ არავინ იქნება დაბრუნებული იქ, სადაც სდევნიან.

(4) ჟენევის კონვენცია და ოქმი წარმოადგენს ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმის ქვაკუთხედს.

(5) ტამპერეს შეთანხმების მიხედვით, თავშესაფრის ერთიანი ევროპულ სისტემაში გათვალისწინებული უნდა იქნას პირის ლტოლვილად ცნობისა და ლტოლვილის სტატუსის არსის შესახებ არსებული წესების მოკლე ვადაში დაახლოების საკითხი.

(6) ტამპერეს შეთანხმება აგრეთვე უზრუნველყოფს, რომ ლტოლვილის სტატუსის შესახებ წესებს უნდა დაემატოს დამატებითი დაცვის ფორმებთან დაკავშირებული ზომები, რომელთა მიხედვითაც შესაბამისი სტატუსი მიენიჭება ნებისმიერ პირს, რომელსაც ესაჭიროება ასეთი დაცვა.

(7) თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის შექმნის პირველი ეტაპი დასრულებულია. 2004 წლის 4 ნოემბერს, ევროპის საბჭომ მიიღო ჰააგის პროგრამა, რომელიც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში 2005-2010 წლებში განსახორციელებელ მიზნებს ადგენს. ამ მხრივ, ჰააგის პროგრამამ ევროკომისიას მოუწოდა პირველი ეტაპის სამართლებრივი ინსტრუმენტების შეფასებისა და მეორე ეტაპის ინსტრუმენტებისა და ზომების ევროპარლამენტისა და საბჭოს წინაშე წარდგენისაკენ, რათა მათი მიღება 2010 წლის ბოლომდე მოხდეს.

(8) ევროპის საბჭოს მიერ 2008 წლის 15 და 16 ოქტომბერს მიღებულ ევროპულ პაქტში იმიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ აღნიშნულია, რომ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში დაცვის მინიჭება და მისი ფორმები მნიშვნელოვნად განსხვავდება და ყურადღება გამახვილებულია ახალი ინიციატივების აუცილებლობაზე, რომლებიც ჰააგის პროგრამით გათვალისწინებული თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ჩამოყალიბებასა და, შესაბამისად, უფრო მაღალი ხარისხის დაცვას უზრუნველყოფს.

(9) სტოკჰოლმის პროგრამაში, ევროპის საბჭომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მათთვის, ვისაც საერთაშორისო დაცვა მინიჭებული აქვს არა უგვიანეს 2012 წლისა, აუცილებელია, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 78-ე მუხლის შესაბამისად, ჩამოყალიბდეს დაცვისა და სოლიდარობის ერთიანი ზონა, რომელიც თავშესაფრის ერთიანი პროცედურასა და ერთგვაროვან სტატუსს დაეფუძნება.

(10) ჩატარებული შეფასებების შედეგების ფონზე, ამ ეტაპზე, მიზანშეწონილია იმ პრინციპების დადასტურება, რომლებიც საფუძვლად უდევს 2004/83/EC დირექტივას, და საერთაშორისო დაცვის აღიარებისა და არსის შესახებ წესების უფრო მეტად დაახლოება, უფრო მაღალი სტანდარტების საფუძველზე.

(11) უნდა მოხდეს ევროპის ლტოლვილთა ფონდისა და ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის რესურსების მობილიზება, რათა ხელი შეეწყოს წევრი ქვეყნების ძალისხმევას თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის მეორე ეტაპისთვის დაწესებული სტანდარტების დასაწერად, განსაკუთრებით, იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც, გეოგრაფიული და დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, თავიანთი თავშესაფრის სისტემებზე სპეციფიკური და არაპროპორციული ზეწოლის წინაშე აღმოჩნდნენ.

(12) წინამდებარე დირექტივის მთავარი მიზანია უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ის, რომ წევრმა სახელმწიფოებმა საერთო კრიტერიუმები გამოიყენონ იმ პირების დასადგენად, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას და, მეორე მხრივ, რათა უზრუნველყონ, რომ ამ პირებისთვის დახმარების მინიმალური დონე ყველა წევრ სახელმწიფოში იყოს ხელმისაწვდომი.

(13) ლტოლვილის სტატუსისა და დამატებითი დაცვის აღიარებისა და არსის შესახებ წესების დაახლოება შეამცირებს საერთაშორისო დაცვის განმცხადებლების მეორად გადაადგილებას წევრ ქვეყნებს შორის იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი გადაადგილება მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოებში არსებული განსხვავებებით არის გამოწვეული.

(14) წევრ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ უფლება, დაწერონ და შეინარჩუნონ ამ დირექტივაში მოცემულ სტანდარტებზე უფრო ხელსაყრელი დებულებები მესამე ქვეყნის მოქალაქეთათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, რომლებიც წევრი სახელმწიფოსგან საერთაშორისო დაცვას ითხოვენ, იმ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მოცემული პირი არის ლტოლვილი ჟენევის კონვენციის 1-ელი მუხლის „ა“ პუნქტის ფარგლებში ან პირი, რომელსაც აქვს უფლება, მოითხოვოს დამატებითი დაცვა.

(15) მესამე ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებსაც წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე დარჩენის უფლება აქვთ ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც უკავშირდება არა საერთაშორისო დაცვის საჭიროებას, არამედ დისკრეციულ საფუძველს საქველმოქმედო ან ჰუმანიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამ დირექტივის მოქმედების სფეროს არ მიეკუთვნებიან.

(16) წინამდებარე დირექტივა პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს და იცავს ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მიერ აღიარებულ პრინციპებს. დირექტივა მიზნად ისახავს ადამიანის ღირსებისა და თავშესაფრის მოთხოვნის უფლების სრულ პატივისცემას, როგორც თავშესაფრის მაძიებლების, ისე მათი თანმხლები ოჯახის წევრების მიმართ და ქარტიის 1-ელი, მე-7, მე-11, მე-14, მე-15, მე-

16, მე-18, 21-ე, 24-ე, 34-ე და 35-ე მუხლების გამოყენებას. შესაბამისად, დირექტივა ამ პრინციპების გათვალისწინებით უნდა დაინერგოს.

(17) რაც შეეხება იმ პირებთან მოპყრობის წესებს, რომლებიც ამ დირექტივის მოქმედების სფეროს მიეკუთვნებიან, წევრი სახელმწიფოების ვალდებულებები საერთაშორისო სამართლის იმ ინსტრუმენტებს ეფუძნება, რომელთა მხარესაც ეს სახელმწიფოები წარმოადგენენ, განსაკუთრებით, იმ ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას.

(18) ამ დირექტივის დანერგვისას, წევრი სახელმწიფოების მიერ უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს "ბავშვის საუკეთესო ინტერესებს", ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს 1989 წლის კონვენციის შესაბამისად. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას, წევრმა სახელმწიფომმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ ოჯახის განუყოფლობის პრინციპი, არასრულწლოვანთა კეთილდღეობა, სოციალური განვითარება, უსაფრთხოება და არასრულწლოვანთა შეხედულებები, მათი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

(19) აუცილებელია ოჯახის წევრების ცნების გაფართოება, დამოკიდებულების სხვადასხვა კონკრეტული გარემოებებისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

(20) წინამდებარე დირექტივა არ არღვევს თავშესაფრის შესახებ ოქმს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის, რომელიც ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას ერთვის თან.

(21) ლტოლვილის სტატუსის აღიარება არის დეკლარაციული აქტი.

(22) ჟენევის კონვენციის 1-ელი მუხლის შესაბამისად ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისას, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან კონსულტაციებმა შესაძლოა, წევრ სახელმწიფოებს ღირებული სახელმძღვანელო მითითებები მიაწოდოს.

(23) უნდა არსებობდეს ლტოლვილის სტატუსის განმარტებისა და არსის სტანდარტები, რომლებითაც წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ეროვნული ორგანოები ჟენევის კონვენციის გამოყენებისას იხელმძღვანელებენ.

(24) ჟენევის კონვენციის 1-ელი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში თავშესაფრის მსურველთა ლტოლვილებად აღიარებისთვის აუცილებელია საერთო კრიტერიუმების დანერგვა.

(25) კერძოდ, აუცილებელია წარმოდგენილი იქნას დაცვის საჭიროების საერთო კონცეფციები, რომლებიც წარმოიქმნება ადგილზე, ზიანისა და დაცვის, შიდა დაცვისა და დევნის წყაროების, მათ შორის, დევნის მიზეზების შესახებ.

(26) დაცვის უზრუნველყოფა სასურველ ადგილზე შეუძლია სახელმწიფოს, პარტიებს

ან ორგანიზაციებს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ დირექტივაში მოცემულ პირობებს აკმაყოფილებენ და სახელმწიფოს ტერიტორიაზე რეგიონს ან უფრო დიდ ერთეულს აკონტროლებენ. ასეთი დაცვა უნდა იყოს ეფექტური და ჰქონდეს არა-დროებითი ხასიათი.

(27) დევნის ან სერიოზული ზიანისაგან შიდა დაცვა განმცხადებლისთვის ეფექტურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს წარმოშობის ქვეყნის იმ ნაწილში, რომელშიც მას უსაფრთხოდ და კანონიერად გამგზავრება და შესვლის უფლების მიღება შეუძლია და მოსალოდნელია, რომ დასახლდეს. იმ შემთხვევაში, თუ დევნის ან სერიოზული ზიანის განმახორციელებელი სახელმწიფო ან სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან, უნდა არსებობდეს პრეზუმპცია, რომ განმცხადებლისთვის ეფექტური დაცვა არ არის ხელმისაწვდომი. როდესაც განმცხადებელი თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანია, შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი ზრუნვისა და მეურვეობის მექანიზმების ხელმისაწვდომობას.

(28) საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფის შესახებ არასრულწლოვანთა განაცხადების შეფასებისას, აუცილებელია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ბავშვებთან დაკავშირებული დევნის ფორმები გაითვალისწინონ.

(29) ჟენევის კონვენციის 1 მუხლის „ა“ პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთი პირობა არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დევნის საფუძველს, კერძოდ, რასას, რელიგიას, ეროვნებას, პოლიტიკურ შეხედულებებს ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობასა და დევნის აქტებს, ან ასეთი აქტებისაგან დაცვის არარსებობას შორის.

(30) ასევე აუცილებელია, განისაზღვროს საერთო კონცეფცია დევნის ერთ-ერთი საფუძვლის, "კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის" შესახებ. კონკრეტული სოციალური ჯგუფის განსაზღვრის მიზნებისათვის, განმცხადებლის სქესთან დაკავშირებით წარმოქმნილ საკითხებს, მათ შორის, გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციას, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს გარკვეულ სამართლებრივ ტრადიციებსა და ჩვევებს, რომლებიც, მაგალითად, სასქესო ორგანოების დეფორმაციას, იძულებით სტერილიზაციასა და იძულებით აბორტს იწვევს, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს, იმდენად, რამდენადაც ისინი დაკავშირებულია განმცხადებლის დასაბუთებულ შიშთან დევნის მიმართ.

(31) აქტები, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს ეწინააღმდეგება, გადმოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრეამბულასა და 1-ელ და მე-2 მუხლებში და ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებში ტერორიზმთან ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებშიც აღნიშნულია, რომ "ტერორიზმის აქტები, მეთოდები და პრაქტიკა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს" და რომ "ტერორისტული აქტების

შეგნებულად დაფინანსება, დაგეგმვა და პროვოცირება, ასევე ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს".

(32) როგორც მე-14 მუხლშია აღნიშნული, "სტატუსი" შეიძლება ასევე მოიცავდეს ლტოლვილის სტატუსს.

(33) ასევე უნდა დადგინდეს სტანდარტები დამატებითი დაცვის სტატუსის განმარტებისა და არსის შესახებ. დამატებითი დაცვა უნდა დაემატოს ლტოლვილთა დაცვას, რომელიც დაცულია ჟენევის კონვენციით.

34) აუცილებელია საერთო კრიტერიუმების დანერგვა, რომელთა საფუძველზე საერთაშორისო დაცვის განმცხადებლები აღიარებულნი უნდა იქნან, როგორც დამატებითი დაცვის მიღების უფლების მქონენი. ეს კრიტერიუმები უნდა დაეფუძნოს წევრ სახელმწიფოებში აღიარებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ ინსტრუმენტებისა და პრაქტიკის შესახებ.

(35) რისკები, რომელთა წინაშეც ზოგადად დგას ქვეყნის მოსახლეობა ან მოსახლეობის ნაწილი, როგორც წესი, თავისთავად არ წარმოადგენს განსაკუთრებულ საფრთხეს, რომელიც სერიოზული ზიანად შეიძლება ჩაითვალოს.

(36) ოჯახის წევრები, მხოლოდ ლტოლვილებთან მათი ნათესაური კავშირის გამო, როგორც წესი, დევნის აქტების წინაშე დაუცველნი არიან, რაც შეიძლება ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდეს.

(37) ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ცნება ასევე მოიცავს შემთხვევებს, რომელთა დროსაც მესამე ქვეყნის მოქალაქე მიეკუთვნება ასოციაციას, რომელიც მხარს უჭერს საერთაშორისო ტერორიზმს ან მხარს უჭერს ასეთ ასოციაციას.

(38) წინამდებარე დირექტივაში გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის უფლების საკითხის გადაწყვეტისას, წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ისევე, როგორც საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირზე იმ ახლო ნათესავების დამოკიდებულების კონკრეტული გარემოებები, რომლებიც უკვე იმყოფებიან წევრ სახელმწიფოში და რომლებიც ამ პირის ოჯახის წევრები არ არიან. გამონაკლის შემთხვევებში, როცა საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის ახლო ნათესავი არის დაოჯახებული არასრულწლოვანი, მაგრამ თან არ ახლავს მეუღლე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები შეიძლება განხილული იქნას მის თავდაპირველ ოჯახთან ერთად.

---

---

(39) სტოკჰოლმის პროგრამის მიხედვით ლტოლვილების ან დამატებითი დაცვის მიღების უფლების მქონე პირებისთვის ერთიანი სტატუსის ჩამოყალიბების პროცესში, დამატებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს უნდა მიეცეთ იგივე უფლებები და შეღავათები, რომლითაც, ამ დირექტივის თანახმად, ლტოლვილები სარგებლობენ და უნდა ექვემდებარებოდნენ შერჩევის იმავე პირობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლებების შემცირება აუცილებელი და ობიექტურად გამართლებული მიზეზებით არის გამოწვეული.

(40) საერთაშორისო ვალდებულებებით დადგენილ ფარგლებში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ბინადრობის ნებართვის წინასწარი გაცემა დასაქმების, სოციალური დაცვის, ჯანდაცვისა და ინტეგრაციის საშუალებების ხელმისაწვდომობისათვის აუცილებელი პირობაა.

(41) იმისათვის, რომ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებმა ამ დირექტივაში დადგენილი უფლებებითა და შეღავათებით ეფექტურად ისარგებლონ, აუცილებელია იმ სპეციფიკური საჭიროებებისა და ინტეგრაციის კონკრეტული პრობლემების გათვალისწინება, რომლებსაც ისინი აწყდებიან. გათვალისწინება, როგორც წესი, არ უნდა გადაიზარდოს საკუთარი მოქალაქეებთან შედარებით უფრო ხელსაყრელ დამოკიდებულებაში, მიუხედავად იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებს უფრო ხელსაყრელი სტანდარტების დანერგვისა და შენარჩუნების შესაძლებლობა აქვთ.

(42) ამ კონტექსტში, განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული ისეთი პრობლემების მოგვარებისკენ, რომლებიც საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებისთვის დასაქმებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და პროფესიული გადამზადების ეფექტურ ხელმისაწვდომობას აფერხებს, მათ შორის, ისეთი პრობლემების მოგვარებისკენ, როგორიცაა ფინანსური შეზღუდვა.

(43) წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემულ ფინანსურ სარგებელზე, რომელიც განათლების ხელშესაწყობის მიზნით არის გაცემული.

(44) უნდა განიხილებოდეს სპეციალური ზომები იმ პრაქტიკული სირთულეების ეფექტურად მოსაგვარებლად, რომლებიც საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებს თავიანთი უცხოური დიპლომებისა და სერთიფიკატების ან ფორმალური კვალიფიკაციის სხვა მტკიცებულების ავთენტურობასთან დაკავშირებით ექმნებათ, განსაკუთრებით, დოკუმენტური მტკიცებულების არარსებობისა და მათი აღიარების პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის შესაძლებლობის არქონის გამო.

---

(45) სოციალური გაჭირვების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია საერთაშორისო დაცვის ბენეფიციართა უზრუნველყოფა ადეკვატური სოციალური კეთილდღეობით და საარსებო საშუალებებით, სოციალური დახმარების კონტექსტში დისკრიმინაციის გარეშე. რაც შეეხება სოციალურ დახმარებას, დამატებითი დაცვის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის ძირითადი შეღავათების უზრუნველყოფის პირობები და დეტალები ეროვნული კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს. ასეთი დახმარება, სულ მცირე, ძირითად შეღავათებს უნდა მოიცავდეს, რაც გულისხმობს მინიმალური შემოსავლის მხარდაჭერას, დახმარებას ავადმყოფობის ან ორსულობის შემთხვევაში და მშობლების დახმარებას, იმდენად, რამდენადაც ასეთ შეღავათებს ეროვნული კანონმდებლობა მოქალაქეთათვის ადგენს.

(46) საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს როგორც ფიზიკური, ისე - ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას.

(47) ლტოლვილის სტატუსისა და დამატებითი დაცვის სტატუსის ბენეფიციართა კონკრეტული საჭიროებები და მდგომარეობის თავისებურებები მათთვის უზრუნველყოფილ ინტეგრაციის პროგრამებში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული უნდა იქნას. საჭიროების შემთხვევაში, ეს გულისხმობს ენის სწავლებასა და ინფორმაციის მიწოდებას ადამიანის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში მათი დაცვის სტატუსთან დაკავშირებით მოქმედებს.

(48) წინამდებარე დირექტივის დანერგვა რეგულარულად უნდა შეფასდეს. შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს გამკვების დაუშვებლობასთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოთა საერთაშორისო ვალდებულებების ცვლილება, წევრ სახელმწიფოებში შრომის ბაზრების ევოლუცია და ინტეგრაციის ძირითადი პრინციპების განვითარება.

(49) რადგან ამ დირექტივის მიზნები, კერძოდ, მესამე ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების სტანდარტების, ლტოლვილის სტატუსისა და დამატებითი დაცვის განსაზღვისას ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება, სათანადო დონეზე ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების მიერ და, შესაბამისად, ამ დირექტივის მასშტაბისა და შედეგების გამო, უკეთ მიიღწევა გაერთიანების დონეზე, გაერთიანებას შეუძლია, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოცემული სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისი ზომები. ამავე მუხლში მოცემული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, ეს დირექტივა არ სცდება იმ ფარგლებს, რომლებიც აღნიშნული მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი.



---

(50) თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროსთან მიმართებით, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ (No 22) ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლებისა და მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის 1-ელი ქვეპუნქტის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას და ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის გარეშე, გაერთიანებული სამეფო და ირლანდია არ იღებენ მონაწილეობას ამ დირექტივის მიღებაში და არ არიან პასუხისმგებლები მის თანახმად ან არ მოეთხოვებათ მისი გამოყენება.

(51) დანიის პოზიციის შესახებ 22-ე ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, დანია არ იღებს მონაწილეობას ამ დირექტივის მიღებაში და არ არის პასუხისმგებელი მის თანახმად ან არ მოეთხოვება მისი გამოყენება.

(52) წინამდებარე დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვალდებულება უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ დებულებებით, რომლებიც 2004/83/EC დირექტივასთან შედარებით არსებით ცვლილებას წარმოადგენს. აღნიშნული დირექტივე გულისხმობს იმ დებულებების გადატანის ვალდებულებას, რომლებიც უცვლელია.

(53) წინამდებარე დირექტივა არ უნდა ზღუდავდეს წევრი ქვეყნების ვალდებულებებს 2004/83/EC დირექტივის ეროვნულ კანონში გადატანის ვადასთან დაკავშირებით, რაც გადმოცემულია I დანართის „ბ“ ნაწილში.

მიიღო ეს დირექტივა:

თავი I

**ზოგადი დებულებები**

*მუხლი 1*

**მიზანი**

წინამდებარე დირექტივის მიზანია მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების სტანდარტების, ლტოლვილის სტატუსისა და დამატებითი დაცვის განსაზღვრისას ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება და მინიჭებული დაცვის არსის განმარტება.

---

## მუხლი 2

### განმარტებები

წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

(ა) "საერთაშორისო დაცვა" ნიშნავს ლტოლვილის სტატუსსა და დამატებითი დაცვის სტატუსს, როგორც ეს განსაზღვრულია „ე“ და „ზ“ პუნქტებში;

(ბ) "საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარი" ნიშნავს პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი დაცვის სტატუსი, როგორც ეს განსაზღვრულია „ე“ და „ზ“ პუნქტებში;

(გ) "ჟენევის კონვენცია" ნიშნავს კონვენციას ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც გაფორმდა ჟენევაში 1951 წლის 28 ივლისს და ჩასწორდა 1967 წლის 31 იანვრის ნიუ იორკის ოქმის თანახმად;

(დ) "ლტოლვილი" ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის მიზეზით დევნის კარგად დასაბუთებული შიშის გამო იმყოფება მისი მოქალაქეობრივი კუთვნილების ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია, ან ამგვარი შიშის გამო არ სურს, ისარგებლოს იმ ქვეყნის დაცვით ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება ყოფილი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმავე მიზეზით, რომელიც ზემოთ აღინიშნა და არ შეუძლია, ან, ამგვარი შიშის გამო, არ სურს, დაბრუნდეს და რომელზეც არ ვრცელდება მე-12 მუხლი;

(ე) „ლტოლვილის სტატუსი“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ლტოლვილად აღიარებას;

(ვ) "ადამიანი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს დამატებითი დაცვა", ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც ლტოლვილის სტატუსი არ აქვს მინიჭებული, მაგრამ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თუ ის დაბრუნდება თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან, მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, თავისი ყოფილი მუდმივი საცხოვრებლის ქვეყანაში, აღმოჩნდება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკის წინაშე, მე-15 მუხლის თანახმად, რომელზეც 17-ე მუხლის 1-ელი და 2-ე მუხლი არ ვრცელდება და არ შეუძლია, ან ასეთი რისკის გამო არ სურს, ისარგებლოს ასეთი ქვეყნის დაცვით;

---

(ზ) "დამატებითი დაცვის სტატუსი" ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის მინიჭებულ აღიარებას, რომ მას აქვს უფლება, ისარგებლოს დამატებითი დაცვით;

(თ) „საერთაშორისო დაცვის განაცხადი" ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ წევრი სახელმწიფოსგან დაცვის მოთხოვნას, რაც შეიძლება გულისხმობდეს ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის სტატუსის მოთხოვნას, იმ შემთხვევაში, როდესაც პირი პირდაპირ არ მოითხოვს სხვა სახის დაცვას, რომელიც ამ დირექტივის ფარგლებს სცდება და რომლისთვისაც ცალკე განაცხადის შეტანა არის შესაძლებელი;

(ი) "განმცხადებელი" ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც საერთაშორისო დაცვის განაცხადი შეიტანა და რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული;

(კ) „ოჯახის წევრები“ ნიშნავს, იმ პირობით, თუ ოჯახი უკვე არსებობდა წარმოშობის ქვეყანაში, საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარის იმ ოჯახის წევრებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვის განაცხადთან დაკავშირებით ერთსა და იმავე წევრ ქვეყანაში იმყოფებიან:

- საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარის მეუღლე ან მისი დაუქორწინებელი პარტნიორი სტაბილური ურთიერთობის პირობებში, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული წევრი სახელმწიფოს კანონი ან პრაქტიკა, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე ვრცელდება, დაუქორწინებელ წყვილებს დაქორწინებული წყვილებს მსგავსად განიხილავს,

- პირველ აბზაცში ნახსენები წყვილების ან საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარის არასრულწლოვანი შვილები, იმ პირობით, რომ ისინი არიან დაუქორწინებელნი და მიუხედავად იმისა, ქორწინებაში დაიბადნენ, ქორწინების გარეშე თუ შვილად აყვანილნი არიან, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით,

- მამა, დედა და სხვა ზრდასრული ადამიანი, რომელიც კონკრეტული წევრი სახელმწიფოს კანონის ან პრაქტიკის თანახმად, პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარზე, როდესაც ეს უკანასკნელი არასრულწლოვანი და დაუქორწინებელია;

- (ლ) „არასრულწლოვანი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც არის 18 წლამდე ასაკის;

---

(მ) "თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი" ნიშნავს არასრულწლოვანს, რომელიც ჩამოდის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ზრდასრული თანმხლები პირის გარეშე, რომელიც პასუხისმგებელია მასზე კონკრეტული წევრი სახელმწიფოს კანონით ან პრაქტიკით და ვერ ხერხდება ფაქტიურად მისი გადაყვანა ასეთი პირის ზედამხედველობის ქვეშ; ეს მოიცავს არასრულწლოვანს, რომელიც თანმხლები პირის გარეშე დარჩა მას შემდეგ, რაც შევიდა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

(ნ) "ბინადრობის ნებართვა" ნიშნავს წევრი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ გაცემულ ნებისმიერ ნებართვას ან უფლებამოსილებას იმ ფორმით, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო კანონით, რომელიც საშუალებას აძლევს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, იცხოვროს მის ტერიტორიაზე; (ნ) "წარმოშობის ქვეყანა" ნიშნავს მოქალაქეობის ქვეყანას ან ქვეყნებს ან, მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, ყოფილ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილს.

### *მუხლი 3*

#### **უფრო ხელსაყრელი სტანდარტები**

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის მიღების უფლების მქონე პირთა და საერთაშორისო დაცვის არსის განსაზღვრის მიზნით დანერგონ და შეინარჩუნონ უფრო ხელსაყრელი სტანდარტები, იმ პირობით, რომ ეს სტანდარტები წინამდებარე დირექტივას შეესაბამება.

### **თავი II**

#### **საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განაცხადების შეფასება**

### *მუხლი 4*

#### **ფაქტებისა და გარემოებების შეფასება**

1. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა მიიჩნიონ, რომ განმცხადებელი ვალდებულია, შესაძლებლად მალე წარადგინოს საერთაშორისო დაცვის განაცხადის დასაბუთებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. განმცხადებელთან თანამშრომლობის პირობებში, წევრი სახელმწიფო ვალდებულია, შეაფასოს განაცხადის შესაბამისი ელემენტები.

---

2. პირველ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს განმცხადებლის განცხადებებსა და ყველა დოკუმენტს, რომელიც განმცხადებლის განკარგულებაშია და მის ასაკს, წარმომავლობას, მათ შორის, შესაბამისი ნათესავეების წარმომავლობას, იდენტობას, მოქალაქეობას (ან მოქალაქეობებს), წინა რეზიდენციის ქვეყანასა (ქვეყნებსა) და ადგილს (ადგილებს), წინა თავშესაფრის განაცხადებს, სამგზავრო მარშრუტებს, სამგზავრო დოკუმენტებსა და საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთვის მიმართვის მიზეზებს ეხება.

3. საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეფასება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად და უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

(ა) ყველა შესაბამის ფაქტს, რამდენადაც ისინი განაცხადის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოშობის ქვეყანას უკავშირდება, მათ შორის, წარმოშობის ქვეყნის კანონებსა და რეგულაციებს და მათი გამოყენების წესს;

(ბ) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ შესაბამის განცხადებებსა და დოკუმენტაციას, მათ შორის, ინფორმაციას იმის თაობაზე, იყო ან იქნება თუ არა განმცხადებელი დევნის ან სერიოზული ზიანის საგანი;

(გ) განმცხადებლის ინდივიდუალურ პოზიციასა და პირად გარემოებებს, მათ შორის, ისეთ ფაქტორებს, როგორცაა წარმომავლობა, სქესი და ასაკი, რათა მოხდეს იმის შეფასება, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ის აქტები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ან შეიძლება აღმოჩნდეს განმცხადებელი, განმცხადებლის პირადი გარემოებების საფუძველზე, დევნის ან სერიოზული ზიანის ტოლფასი.

(დ) იყო თუ არა განმცხადებლის აქტივობები წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ მიმართული ერთადერთი და მთავარი მიზნისკენ, შეექმნა აუცილებელი პირობები საერთაშორისო დაცვის მისაღებად, რათა შეფასდეს, აღმოჩნდება თუ არა განმცხადებელი ამ საქმიანობის გამო დევნის ან სერიოზული ზიანის მსხვერპლი იმ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.

(ე) რამდენად მიზანშეწონილია იმის მოლოდინი, რომ განმცხადებელი ისარგებლებს სხვა ქვეყნის დაცვით, სადაც მას შეუძლია მოითხოვოს მოქალაქეობა.

4. ის ფაქტი, რომ განმცხადებელი უკვე იყო დევნის ან სერიოზული ზიანის, ან მსგავსი დევნის ან ზიანის შესახებ პირდაპირი მუქარის მსხვერპლი, დევნასთან ან სერიოზული ზიანის მიყენების რეალურ რისკთან დაკავშირებით განმცხადებლის დასაბუთებულ შიშზე მიუთითებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს საფუძვლიანი მიზეზი ვარაუდისთვის, რომ მსგავსი დევნა ან სერიოზული ზიანი არ განმეორდება.

---

5. იმ შემთხვევაში, თუ წევრი ქვეყნები იყენებენ პრინციპს, რომლის მიხედვითაც განმცხადებელი ვალდებულია, საერთაშორისო დაცვის განაცხადი დაასაბუთოს და, თუ განმცხადებლის განცხადებების გარკვეული ასპექტები დოკუმენტური ან სხვა მტკიცებულებებით გამყარებული არ არის, ასეთი ასპექტები არ საჭიროებს დადასტურებას, თუ შესრულდება ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები:

(ა) განმცხადებელმა სერიოზული ძალისხმევა გასწია საკუთარი განაცხადის დასაბუთებლად;

(ბ) განმცხადებლის განკარგულებაში არსებული ყველა შესაბამისი დოკუმენტი წარმოდგენილ იქნა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების არარსებობას დამაკმაყოფილებელი ახსნა მიეცა;

(გ) განმცხადებლის განცხადებები ჩაითვალა თანმიმდევრულად და დამაჯერებლად და არ ეწინააღმდეგება განმცხადებლის საქმესთან დაკავშირებით არსებულ სპეციფიკურ და ზოგად ინფორმაციას;

(დ) განმცხადებელმა უკვე შეიტანა განაცხადი საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განმცხადებელს შეუძლია წარმოადგინოს საფუძვლიანი მიზეზი, თუ რატომ არ მოიქცა ასე; და

(ე) განმცხადებლის მიმართ შეიქმნა ზოგადი ნდობა.

## მუხლი 5

### საერთაშორისო დაცვის საჭიროებები, რომლებიც *sur place* წარმოიქმნება

1. დევნასთან დაკავშირებული დასაბუთებული შიში ან სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი შეიძლება ეფუძნებოდეს მოვლენებს, რომლებიც მოხდა მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა წარმოშობის ქვეყანა დატოვა.

2. დევნასთან დაკავშირებული დასაბუთებული შიში ან სერიოზული ზიანის მიყენების რეალური რისკი შეიძლება ეფუძნებოდეს საქმიანობას, რომელშიც განმცხადებელი ჩაერთო მას შემდეგ, რაც მან დატოვა წარმოშობის ქვეყანა, განსაკუთრებით, თუ დადგინდება, რომ ეს საქმიანობა წარმოადგენს იმ მრწამსის ან ორიენტაციის გამოხატვასა და გაგრძელებას, რომელიც წარმოშობის ქვეყანაში არსებობდა.

---

3. ჟენევის კონვენციის დარღვევის გარეშე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ განმცხადებელს, რომელსაც შემდგომი განაცხადი შეაქვს, როგორც წესი, არ მიენიჭება ლტოლვილის სტატუსი, თუ დევნასთან დაკავშირებული რისკი ეფუძნება გარემოებებს, რომელიც განმცხადებელმა საკუთარი გადაწყვეტილებით შექმნა მას შემდეგ, რაც წარმოშობის ქვეყანა დატოვა.

### *მუხლი 6*

#### **დევნის ან სერიოზული ზიანის აქტორები**

დევნის ან სერიოზული ზიანის აქტორებში იგულისხმება:

(ა) სახელმწიფო;

(ბ) სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის მაკონტროლებელი პარტიები ან ორგანიზაციები;

(გ) არასამთავრობო აქტორები, თუ შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ „ა“ და „ბ“ პუნქტებში ნახსენებ აქტორებს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არ სურთ ან არ შეუძლიათ უზრუნველყონ დევნის ან სერიოზული ზიანისგან დაცვა, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 მუხლში.

### *მუხლი 7*

#### **დაცვის აქტორები**

1. დევნის ან სერიოზული ზიანისგან დაცვა შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ:

(ა) სახელმწიფომ; ან

(ბ) პარტიებმა ან ორგანიზაციებმა, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს;

იმ პირობით, რომ მათ სურთ ან შეუძლიათ შესთავაზონ დაცვა მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. დევნის ან სერიოზული ზიანისგან დაცვა უნდა იყოს ეფექტური და არა დროებითი ხასიათის. ასეთი დაცვა ზოგადად უზრუნველყოფილია, როდესაც პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში ნახსენები აქტორები იღებენ გონივრულ ზომებს, რათა

---

თავიდან აიცილონ დევნა და სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე, კერძოდ, ეფექტური სამართლებრივი სისტემის გამოყენებით ისეთი აქტების გამოვლენის, სამართლებრივი დევნის ან დასჯისთვის, რომლებიც წარმოადგენს დევნასა და სერიოზულ ზიანს, როდესაც განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომია ასეთი დაცვა.

3. როდესაც კეთდება შეფასება, აკონტროლებს თუ არა საერთაშორისო ორგანიზაცია სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს და უზრუნველყოფს დაცვას, როგორც ეს აღწერილია მე-2 პუნქტში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ნებისმიერი სახელმძღვანელო მითითება, რომელიც შეიძლება ევროკავშირის შესაბამის აქტებში იყოს მოცემული.

### *მუხლი 8*

#### **შიდა დაცვა**

1. საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეფასების დროს წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ განმცხადებელი არ საჭიროებს საერთაშორისო დაცვას, თუ წარმოშობის ქვეყნის ნაწილში:

(ა) მას არ გააჩნია დევნის დასაბუთებული შიში ან არ იმყოფება სერიოზული ზიანის მიყენების რეალური საფრთხის ქვეშ; ან

(ბ) მისთვის ხელმისაწვდომია დევნის ან სერიოზული ზიანისაგან დაცვა, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 მუხლში;

და მას შეუძლია უსაფრთხოდ და კანონიერად გაემგზავროს და მიიღოს დაშვება ქვეყნის ამ ნაწილში და ჰქონდეს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ იქ დასახლდება.

2. იმის შეფასებისას, თუ რამდენად აქვს განმცხადებელს დევნის დასაბუთებული შიში ან რამდენად იმყოფება ის სერიოზული ზიანის მიყენების რეალური საფრთხის ქვეშ ან რამდენად ხელმისაწვდომია მისთვის წარმოშობის ქვეყნის ნაწილში დევნის ან სერიოზული ზიანისაგან დაცვა პირველი პუნქტის შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა გაითვალისწინონ ზოგადი გარემოებები, რომლებიც ქვეყნის მოცემულ ნაწილს ახასიათებს და განმცხადებლის პირადი გარემოებები მე-4 მუხლის შესაბამისად. და ბოლოს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ზუსტი და განახლებული ინფორმაცია იქნას მიღებული



---

შესაბამისი წყაროებიდან, როგორცაა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის სამსახური.

### თავი III

#### ლტოლვილობის კვალიფიკაცია

#### მუხლი 9

#### დევნის აქტები

1. იმისათვის, რომ განხილული იქნას, როგორც დევნის აქტი ჟენევის კონვენციის 1-ელი მუხლის „ა“ პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, აქტი უნდა:

(ა) იყოს საკმარისად სერიოზული თავისი ხასიათით ან იყოს განმეორებითი, რათა წარმოადგენდეს ადამიანის ძირითადი უფლებების მძიმე დარღვევას, განსაკუთრებით, ისეთი უფლებების შემთხვევაში, რომელთაგან გადახვევა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-15 (2) მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია; ან

(ბ) წარმოადგენდეს სხვადასხვა სახის ზომების ერთობლიობას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევის ისეთი ფაქტების, რომლებიც საკმარისად მძიმეა, რათა იმოქმედოს ადამიანზე ისევე, როგორც ეს აღნიშნულია „ა“ პუნქტში.

2. 1-ელ პუნქტში განსაზღვრულ დევნის აქტებს შეიძლება შემდეგი ფორმა ჰქონდეს:

(ა) ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის აქტები, მათ შორის სექსუალური ძალადობის აქტები;

(ბ) სამართლებრივი, ადმინისტრაციული, პოლიციური ან/და სასამართლო ღონისძიებები, რომლებიც თავად დისკრიმინაციულია ან რომლებიც განხორციელდა დისკრიმინაციულად;

(გ) სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი, რომელიც არაპროპორციული და დისკრიმინაციულია;

---

(დ) სასამართლოს მიერ კომპენსაციის მიცემაზე უარის თქმა, რასაც არაპროპორციული და დისკრიმინაციული სასჯელი მოჰყვება;

(ე) სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი კონფლიქტის დროს სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო, როცა სამხედრო სამსახური მოიცავს დანაშაულებს ან აქტებს, რომელიც განეკუთვნება გამორიცხვის საფუძვლის სფეროს, როგორც ეს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტშია გადმოცემული;

(ფ) გენდერთან ან ბავშვებთან დაკავშირებული აქტები.

3. მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს კავშირი მე-10 მუხლში ნახსენებ მიზეზებსა და ამავე მუხლის 1-ელ პუნქტში განმარტებულ დევნის აქტებს შორის, ან ასეთი ქმედებებისაგან დაცვის არარსებობა.

## *მუხლი 10*

### **დევნის მიზეზები**

1. დევნის მიზეზების შეფასებისას, წევრი სახელმწიფოები მხედველობაში მიიღებენ შემდეგ ელემენტებს:

(ა) რასის კონცეფცია უნდა მოიცავდეს მოსაზრებებს კანის ფერის, წარმომავლობის ან კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წევრობის შესახებ;

(ბ) რელიგიის კონცეფცია უნდა მოიცავდეს თეისტური, არათეისტური და ათეისტური შეხედულებების ქონას, კერძოდ ან საჯაროდ ფორმალურ ღვთისმსახურებაში მონაწილეობას ან მისგან თავის შეკავებას, მარტო ან სხვებთან ერთად, სხვა რელიგიურ აქტებსა და აზრის გამოხატვას ან პირადი ან საზოგადოებრივი ქცევის ფორმებს, ნებისმიერი რელიგიური რწმენის მანდატით ან საფუძველზე;

(გ) ეროვნების კონცეფცია არ უნდა შემოიფარგლოს მოქალაქეობით ან მისი ნაკლებობით, არამედ უნდა მოიცავდეს ჯგუფის წევრობას, რომელიც განისაზღვრება მისი კულტურული, ეთნიკური, ან ენობრივი იდენტობით, საერთო გეოგრაფიული და პოლიტიკური წარმოშობითა და მისი ურთიერთობით სხვა სახელმწიფოს მოსახლეობასთან;

---

(დ) ჯგუფმა უნდა შეადგინოს კონკრეტული სოციალური ჯგუფი, რომელშიც:

- ამ ჯგუფის წევრები იზიარებენ თანდაყოლილ მახასიათებელს ან საერთო წარმომავლობას, რომელიც ვერ შეიცვლება, ან იზიარებენ მახასიათებელს ან შეხედულებას, რომელიც იმდენად ფუნდამენტურია იდენტობის ან სინდისისთვის, რომ ადამიანი არ უნდა იყოს იძულებული, უარი თქვას მასზე, და

- ამ ჯგუფს აქვს თავისი გამოკვეთილი იდენტობა შესაბამის ქვეყანაში, იმიტომ, რომ აღიქმება, როგორც განსხვავებული გარემომცველი საზოგადოების მიერ.

წარმოშობის ქვეყანაში არსებული გარემოებების მიხედვით, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში შეიძლება შედიოდეს ჯგუფი, რომელიც სექსუალური ორიენტაციის საერთო მახასიათებელს ეფუძნება. სექსუალური ორიენტაცია არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც აქტები, რომლებიც ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. გენდერთან დაკავშირებული ასპექტები, მათ შორის გენდერული იდენტობა, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის განსაზღვრის ან ასეთი ჯგუფის მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლის დადგენის მიზნით;

(ე) პოლიტიკური შეხედულების კონცეფცია უნდა გულისხმობდეს შეხედულების, მოსაზრების ან რწმენის ქონას იმ საკითხებზე, რომლებიც მე-6 მუხლში აღნიშნულ დევნის პოტენციურ აქტორებს, მათ პოლიტიკას ან მეთოდებს უკავშირდება, იმის მიუხედავად, იმოქმედა თუ არა განმცხადებელმა ამ შეხედულების, მოსაზრების ან რწმენის მიხედვით.

2. იმის შეფასებისას, თუ რამდენად განმცხადებელს დევნის დასაბუთებული შიში, არაარსებითია ის, რეალურად გააჩნია თუ არა განმცხადებელს რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური მახასიათებელი, რომელიც იზიდავს დევნას, იმ პირობით, რომ ასეთი მახასიათებელი განმცხადებელს დევნის აქტორის მიერ ენიჭება.

*მუხლი 11*

**შეწყვეტა**

---

1. მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი აღარ იქნება ლტოლვილი, თუ:

(ა) მან ნებაყოფლობით კვლავ ისარგებლა იმ ქვეყნის დაცვით, რომლის მოქალაქეც ის არის; ან

(ბ) მოქალაქეობის დაკარგვის შემდეგ, მან ის კვლავ ნებაყოფლობით მიიღო; ან

(გ) მან მიიღო ახალი მოქალაქეობა და სარგებლობს იმ ქვეყნის დაცვით, რომლის მოქალაქეც ის გახდა; ან

(დ) მან ნებაყოფლობით ხელახლა დაიმკვიდრა თავი ქვეყანაში, რომელიც მან დატოვა ან რომლის ფარგლებს გარეთაც ის დარჩა დევნის შიშის გამო; ან

(ე) რადგან გარემოებები, რომელთა გამოც იგი აღიარებულ იქნა, როგორც ლტოლვილი, აღარ არსებობს, მას აღარ შეუძლია, უარი თქვას იმ ქვეყნის დაცვით სარგებლობაზე, რომლის მოქალაქეც არის; ან

(ვ) მას, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირს, შეუძლია, რადგან გარემოებები, რომელთა გამოც იგი აღიარებულ იქნა, როგორც ლტოლვილი, აღარ არსებობს, დაბრუნდეს ქვეყანაში, რომელიც მისი ყოფილი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი იყო.

2. პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების განხილვისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, არის თუ არა გარემოებების ცვლილება ისეთი მნიშვნელოვანი და არა-დროებითი ხასიათის, რომ ლტოლვილის შიში დევნის მიმართ აღარ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად.

3. პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ პუნქტები არ ვრცელდება ლტოლვილზე, რომელსაც შეუძლია მოიყვანოს დამაჯერებელი მიზეზები, რომლებიც წარმოიშობა წინა დევნისგან, იმ ქვეყნის დაცვით სარგებლობაზე უარის თქმის გამო, რომლის მოქალაქეც არის, ან, მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, იმ ქვეყნის დაცვით სარგებლობაზე უარის თქმის გამო, სადაც მდებარეობდა მისი ყოფილი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი.

## *მუხლი 12*

### **გამორიცხვა (სტატუსის მოხსნა)**

---

1. მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს მოეხსნება ლტოლვილის სტატუსი, თუ:

(ა) იგი ექცევა ჟენევის კონვენციის 1-ელი მუხლის „დ“ პუნქტის მოქმედების ფარგლებში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების ან სააგენტოების მხრიდან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის გარდა, დაცვასა და დახმარებას ეხება. როდესაც, ნებისმიერი მიზეზით, მსგავსი დაცვისა და დახმარების შეწყვეტა ხდება ასეთი პირების პოზიციის დადგენის გარეშე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული შესაბამისი რეზოლუციების თანახმად, ასეთ პირებს ავტომატურად ენიჭებათ უფლება, ისარგებლონ ამ დირექტივით გათვალისწინებული შეღავათებით;

(ბ) იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები, სადაც ის დასახლდა, მას აღიარებენ, როგორც იმ უფლებებისა და მოვალეობების მქონეს, რომლებიც აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეობის ფლობას უკავშირდება, ან მათი ექვივალენტური უფლებებისა და მოვალეობების მქონეს.

2. მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩამოერთმევა ლტოლვილის სტატუსი, როცა არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ:

(ა) მან ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული, ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო აქტებით, რომლებიც შედგენილია ასეთ დანაშაულებთან დაკავშირებით შესაბამისი დადგენილებების მიღების მიზნით;

(ბ) მან ჩაიდინა მძიმე არაპოლიტიკური დანაშაული თავშესაფრის ქვეყნის გარეთ, სანამ მას მიიღებდნენ ლტოლვილის სახით, რაც გულისხმობს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძველზე ბინადრობის ნებართვის გაცემის დროს; განსაკუთრებით სასტიკი ქმედებები, სავარაუდოდ პოლიტიკური მიზნით ჩადენის შემთხვევაშიც, შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული;

(გ) იგი დამნაშავედ სცნეს იმ აქტების ჩადენაში, რომლებიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს, როგორც ეს გადმოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის პრეამბულასა და 1-ელ და მე-2 მუხლებში.

3. მე-2 პუნქტი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც უბიძგებენ ან სხვაგვარად მონაწილეობენ მასში ნახსენები დანაშაულის ან ქმედების ჩადენაში.

---

## თავი IV

### ლტოლვილის სტატუსი

#### მუხლი 13

#### ლტოლვილის სტატუსის მინიჭება

წევრი სახელმწიფოები ლტოლვილის სტატუსს ანიჭებენ მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც ლტოლვილი II და III თავების შესაბამისად.

#### მუხლი 14

#### ლტოლვილის სტატუსის გაუქმება, შეწყვეტა, ან უარი განახლებაზე

1. 2004/83/EC დირექტივის ძალაში შესვლის შემდეგ, საერთაშორისო დაცვის შესახებ შეტანილი განაცხადების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ, შეწყვიტონ ან არ განახლონ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ლტოლვილის სტატუსი, რომელიც მიანიჭა სამთავრობო, ადმინისტრაციულმა, სასამართლო ან კვაზი-სასამართლო ორგანომ, თუ იგი აღარ იქნება ლტოლვილი მე-11 მუხლის შესაბამისად.

2. მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის გარეშე, რომელიც ითვალისწინებს ლტოლვილის მოვალეობას მის ხელთ არსებული ყველა შესაბამისი ფაქტის გამომჟღავნებისა და ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ, წევრი სახელმწიფო, რომელმაც მიანიჭა ლტოლვილის სტატუსი, ვალდებულია, ინდივიდუალურად მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ კონკრეტულ პირს შეუწყდა ან არასდროს ჰქონია მინიჭებული ლტოლვილის სტატუსი ამ მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ, შეწყვიტონ ან არ განახლონ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ლტოლვილის სტატუსი, თუ მას შემდეგ, რაც მას მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი, წევრმა სახელმწიფომ დაადგინა, რომ:

---

(ა) მას უნდა მოხსნოდა ან მოხსნილი აქვს ლტოლვილის სტატუსი მე-12 მუხლის შესაბამისად;

(ბ) მის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან ფაქტების გამოტოვება, მათ შორის, ყალბი დოკუმენტების გამოყენება, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცესში გადამწყვეტი იყო.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, გააუქმონ, შეწყვიტონ ან არ განაახლონ ლტოლვილის სტატუსი, რომელიც მინიჭებული იქნა სამთავრობო, ადმინისტრაციული, სასამართლო ან კვაზი-სასამართლო ორგანოს მიერ, როდესაც:

(ა) არსებობს გონივრული საფუძველი იმისა, რომ პირი ჩაითვალოს საფრთხედ იმ წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, სადაც იგი იმყოფება;

(ბ) იგი მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის საბოლოო განაჩენით და ამ წევრი სახელმწიფოს საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

5. მე-4 პუნქტში აღწერილ სიტუაციებში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, არ მიანიჭონ ლტოლვილის სტატუსი, თუკი ასეთი გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

6. პირებს, რომლებზეც მე-4 და მე-5 პუნქტები ვრცელდება, ენიჭებათ ჟენევის კონვენციის მე-3, მე-4, მე-16, 22-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლებში გადმოცემული ან მათი ანალოგიური უფლებები იმდენად, რამდენადაც ისინი იმყოფებიან წევრ სახელმწიფოში.

## თავი V

### დამატებითი დაცვისთვის კვალიფიცირება

*მუხლი 15*

### სერიოზული ზიანი

სერიოზული ზიანი ნიშნავს:

(ა) სიკვდილით დასჯას; ან

---

(ბ) განმცხადებლის წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას წარმოშობის ქვეყანაში; ან

(გ) სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხეს სამოქალაქო პირის სიცოცხლის ან პიროვნებისთვის საერთაშორისო და შიდა შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში განურჩეველი ძალადობის გამო.

### *მუხლი 16*

#### **შეწყვეტა**

1. მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს დამატებითი დაცვით სარგებლობის უფლება უწყდება მაშინ, როდესაც გარემოებები, რომლებმაც დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭება განაპირობა, აღარ არსებობს ან შეიცვალა იმდენად, რომ დაცვა აღარ არის საჭირო.

2. 1-ელი პუნქტის გამოყენებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რამდენად არის გარემოებების ცვლილება ისეთი მნიშვნელოვანი და არა-დროებითი ხასიათის, რომ მოქალაქე, რომელსაც ჰქონდა დამატებითი დაცვის მოთხოვნის უფლება, სერიოზული ზიანის მიყენების რეალური საფრთხის წინაშე აღარ იდგეს.

3. 1-ელი პუნქტი არ ვრცელდება დამატებითი დაცვის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე, რომელსაც შეუძლია მოიყვანოს დამაჯერებელი მიზეზები, რომლებიც გამომდინარეობს წინა სერიოზული ზიანისაგან იმ ქვეყნის დაცვით სარგებლობაზე უარის თქმის გამო, რომლის მოქალაქეც არის, ან, მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, იმ ქვეყნის დაცვით სარგებლობაზე უარის თქმის გამო, სადაც მდებარეობდა მისი ყოფილი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი.

### *მუხლი 17*

#### **გამორიცხვა (უფლების ჩამორთმევა)**

1. მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩამორთმევა დამატებითი დაცვით სარგებლობის უფლება, თუკი არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ:



---

(ა) მან ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული, ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო აქტებით, რომლებიც შედგენილია ასეთ დანაშაულთან დაკავშირებით შესაბამისი დადგენილებების მიღების მიზნით;

(ბ) მან ჩაიდინა სერიოზული დანაშაული;

(გ) იგი დამნაშავედ ცნეს იმ აქტების ჩადენაში, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს, როგორც ეს გადმოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრეამბულასა და ქარტიის 1-ელ და მე-2 მუხლებში.

(დ) თუ იგი საფრთხეს არ უქმნის იმ საზოგადოებას ან წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოებას, სადაც იგი იმყოფება.

2. 1-ელი პარაგრაფი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც უბიძგებენ ან სხვაგვარად მონაწილეობენ მასში ნახსენები დანაშაულის ან ქმედების ჩადენაში.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დამატებითი დაცვით სარგებლობის უფლება ჩამოართვან მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, თუ მან, კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში დაშვებამდე, ჩაიდინა ერთი ან მეტი დანაშაული, რომელიც 1-ელი პუნქტის მასშტაბებს სცდება და თავისუფლების აღკვეთით ისჯება, თუკი ისინი ჩადენილი იქნა კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში და თუკი პირმა თავისი წარმოშობის ქვეყანა დატოვა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ თავიდან აეცილებინა ამ დანაშაულების ჩადენიდან გამომდინარე სასჯელები.

## თავი VI

### დამატებითი დაცვის სტატუსი

#### *მუხლი 18*

### დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭება

წევრი სახელმწიფოები დამატებითი დაცვის სტატუსს მინიჭებენ მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც, II და V თავების შესაბამისად, უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი დაცვით.

---

## მუხლი 19

### დამატებითი დაცვის სტატუსის გაუქმება, შეწყვეტა ან უარი განაახლებაზე

1. 2004/83/EC დირექტივის ძალაში შესვლის შემდეგ, საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ, შეწყვიტონ ან არ განაახლონ სამთავრობო, ადმინისტრაციული, სასამართლო ან კვაზი-სასამართლო ორგანოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის მინიჭებული დამატებითი დაცვის სტატუსი, თუ მას აღარ ექნება უფლება ისარგებლოს დამატებითი დაცვით მე-16 მუხლის შესაბამისად.

2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გააუქმონ, შეწყვიტონ ან არ განაახლონ სამთავრობო, ადმინისტრაციული, სასამართლო ან კვაზი-სასამართლო ორგანოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის მინიჭებული დამატებითი დაცვის სტატუსი, თუ დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭების შემდეგ, მას ჩამოერთვა დამატებითი დაცვით სარგებლობის უფლება მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ, შეწყვიტონ ან არ განაახლონ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის დამატებითი დაცვის სტატუსი, თუ:

(ა) თუ მას დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭების შემდეგ მოეხსნა დამატებითი დაცვით სარგებლობის უფლება, მე-17 მუხლის 1-ელი და 2-ე პუნქტების შესაბამისად;

(ბ) მის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან ფაქტების გამოტოვება, მათ შორის, ყალბი დოკუმენტების გამოყენება, დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭების პროცესში გადამწყვეტი იყო.

4. მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის გარეშე, რაც გულისხმობს მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მოვალეობას, გამოავლინოს მის ხელთ არსებული ყველა შესაბამისი ფაქტი და წარმოადგინოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია, წევრი სახელმწიფო, რომელმაც მიანიჭა დამატებითი დაცვის სტატუსი, ვალდებულია, ინდივიდუალურად მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ კონკრეტულ პირს აღარ გააჩნია დამატებითი დაცვით სარგებლობის უფლება ამ მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

## თავი VII

---

## საერთაშორისო დაცვის არსი

### მუხლი 20

#### ზოგადი წესები

1. წინამდებარე თავი არ უნდა არღვევდეს ჟენევის კონვენციაში მოცემულ უფლებებს.
2. წინამდებარე თავი ვრცელდება როგორც ლტოლვილებზე, ასევე იმ პირებზე, რომლებსაც აქვთ უფლება ისარგებლონ დამატებითი დაცვით, თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.
3. ამ თავის განხორციელებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ისეთი დაუცველი პირების კონკრეტული სიტუაცია, როგორებიც არიან არასრულწლოვნები, თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები, ორსული ქალები, მარტოხელა მშობლები არასრულწლოვანი ბავშვებით, ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები და პირები, რომლებიც წამების, გაუპატიურების და სხვა მძიმე ფორმის ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლები იყვნენ.
4. მე-3 პუნქტი ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომელთა სპეციალური საჭიროებები მათი მდგომარეობის ინდივიდუალური შეფასების შემდეგ გამოვლინდა.
5. წინამდებარე თავით გათვალისწინებული იმ დებულებების განხორციელებისას, რომელიც მოიცავს არასრულწლოვნებს, წევრი სახელმწიფოების მხრიდან უპირატესი მნიშვნელობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა მიენიჭოს.

### მუხლი 21

#### გაძევებისაგან დაცვა

1. წევრმა სახელმწიფოებმა, მათი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, პატივი უნდა სცენ გაძევების დაუშვებლობის პრინციპს.

---

2. იმ შემთხვევაში, როცა პირველ პუნქტში ნახსენები საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად აკრძალვა არ არსებობს, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გააძევეონ ლტოლვილი, იქნება ის ოფიციალურად აღიარებული, თუ არა, როდესაც:

(ა) არსებობს გონივრული საფუძველი იმისა, რომ ის ჩაითვალოს საფრთხედ იმ წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, სადაც იგი იმყოფება; ან

(ბ) იგი წარმოადგენს საფრთხეს წევრი სახელმწიფოს საზოგადოებისთვის, რადგან მსჯავრდებულია საბოლოო განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გააუქმონ, შეწყვიტონ ან არ განაახლონ ბინადრობის ნებართვა ლტოლვილისთვის, რომელზეც ვრცელდება მე-2 პუნქტი.

## *მუხლი 22*

### **ინფორმაცია**

ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭების შემდეგ შესაძლებლად მალე, წევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებისთვის სტატუსთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაცია უნდა უზრუნველყონ იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით ან სავარაუდოდ უნდა ესმოდეთ.

## *მუხლი 23*

### **ოჯახის განუყოფლობის შენარჩუნება**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ოჯახის განუყოფლობა შენარჩუნებული იყოს.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარის ოჯახის წევრები, რომლებიც ასეთი დაცვით ინდივიდუალურად არ სარგებლობენ, უფლებამოსილნი იყვნენ, მოითხოვონ 24-ე და 35-ე მუხლებში მითითებული სარგებელი ეროვნული პროცედურებისა და, რამდენადაც თავსებადია, ოჯახის წევრის პირადი სამართლებრივი სტატუსის შესაბამისად.

---

3. 1-ელი და მე-2 პუნქტები არ გამოიყენება, თუკი ოჯახის წევრს ჩამოერთვა ან ჩამოერთმევა საერთაშორისო დაცვით სარგებლობის უფლება III და V თავების შესაბამისად.

4. 1-ელი და მე-2 პუნქტების მიუხედავად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, უარი განაცხადონ, შეამცირონ ან გააუქმონ მათში მითითებული სარგებელი ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით.

5. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ ეს მუხლი ასევე გავრცელდეს სხვა ახლო ნათესავებზე, რომლებიც წარმოშობის ქვეყნის დატოვების დროს ოჯახთან ერთად ცხოვრობდნენ და რომლებიც იმ დროს მთლიანად ან ძირითადად საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარზე იყვნენ დამოკიდებულნი.

#### *მუხლი 24*

### **ბინადრობის ნებართვები**

1. საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემდეგ შესაძლებლად მალე, წევრი სახელმწიფოები ლტოლვილის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის გასცემენ ბინადრობის ნებართვას, რომელიც უნდა იყოს განახლებადი და ჰქონდეს არანაკლებ 3-წლიანი მოქმედების ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის იმპერატიული მიზეზები სხვაგვარად მოითხოვს და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის გარეშე.

23-ე მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვის გარეშე, ბინადრობის ნებართვას, რომელიც გაიცემა ლტოლვილის სტატუსის მქონე ბენეფიციარის ოჯახის წევრებზე, შეიძლება ჰქონდეს არანაკლებ 3-წლიანი მოქმედების ვადა და იყოს განახლებადი.

2. საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემდეგ შესაძლებლად მალე, წევრი სახელმწიფოები დამატებითი დაცვის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის გასცემენ განახლებად ბინადრობის ნებართვას, რომლის მოქმედების ვადაც უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი და, განახლების შემთხვევაში, არანაკლებ 2 წელი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის იმპერატიული მიზეზები სხვაგვარად მოითხოვს.

#### *მუხლი 25*

---

## სამგზავრო დოკუმენტი

1. წევრი სახელმწიფოები ლტოლვილის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის სამგზავრო დოკუმენტებს გასცემენ ჟენევის კონვენციაში მითითებული სახით, თავიანთი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოგზაურობის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის იმპერატიული მიზეზები სხვაგვარად მოითხოვს.

2. დამატებითი დაცვის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის, რომლებმაც ვერ მიიღეს ეროვნული პასპორტი, წევრი სახელმწიფოები გასცემენ დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც ისინი შეძლებენ თავიანთი ტერიტორიის გარეთ გამგზავრებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის იმპერატიული მიზეზები სხვაგვარად მოითხოვს.

### *მუხლი 26*

## დასაქმების ხელმისაწვდომობა

1. დაცვის უზრუნველყოფის შემდეგ, წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებს დაუყოვნებლივ აძლევენ უფლებას, ჩაერთონ დასაქმებულ ან თვითდასაქმებულ აქტივობებში, რომლებიც პროფესიასა და საჯარო სამსახურთან მიმართებით გამოყენებულ წესებს ექვემდებარება.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ საქმიანობა, როგორცაა ზრდასრულთათვის ხელმისაწვდომი დასაქმებასთან დაკავშირებული განათლების შესაძლებლობები, პროფესიული მომზადება, მათ შორის, ცოდნის ასამაღლებელი სასწავლო კურსები, სამუშაო ადგილის პრაქტიკული გამოცდილება და საკონსულტაციო მომსახურება, რომელსაც დასაქმების სამსახურები უზრუნველყოფენ, საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებისთვის შეთავაზებული იქნას ისეთივე პირობებით, როგორებიც მოქალაქეებს მიემართება.

3. წევრი სახელმწიფოები შეეცდებიან, ხელი შეუწყონ მე-2 პუნქტში მითითებული აქტივობების სრულად ხელმისაწვდომობას საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებისთვის.

4. უნდა გამოიყენებოდეს წევრ ქვეყნებში მოქმედი კანონი, რომელიც შეეხება ანაზღაურებას, სოციალური უსაფრთხოების სისტემების ხელმისაწვდომობას დასაქმებულ ან თვითდასაქმებულ საქმიანობასთან და სხვა შრომით პირობებთან მიმართებით.

---

*მუხლი 27*

**განათლების ხელმისაწვდომობა**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ განათლების სისტემის სრული ხელმისაწვდომობა ყველა არასრულწლოვნისთვის, რომელსაც მინიჭებული აქვს საერთაშორისო დაცვა, იმავე პირობებით, როგორებიც მოქალაქეებს მიემართება.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო დაცვით სარგებლობის უფლების მქონე მოზარდები ზოგადი განათლების სისტემისა და შემდგომი სწავლებისა და გადამზადების ხელმისაწვდომობით, იმავე პირობებით, როგორსაც კანონიერად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეები ექვემდებარებიან.

*მუხლი 28*

**კვალიფიკაციების აღიარების პროცედურების ხელმისაწვდომობა**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თანაბარი ურთიერთობა საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებსა და მოქალაქეებს შორის უცხოური დიპლომების, სერთიფიკატებისა და ფორმალური კვალიფიკაციის სხვა მტკიცებულების აღიარების არსებული პროცედურების კონტექსტში.
2. წევრი სახელმწიფოები ეცდებიან, საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებისთვის, რომლებიც ვერ წარმოადგენენ თავიანთი კვალიფიკაციის დოკუმენტურ მტკიცებულებას, უზრუნველყონ თავიანთი წინასწარი სწავლების შეფასების, დადასტურების და აკრედიტაციის შესაბამისი სქემების სრული ხელმისაწვდომობა. ნებისმიერი ასეთი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36/EC დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტსა და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს პროფესიული კვალიფიკაციების აღიარებასთან დაკავშირებით<sup>ii</sup>.

*მუხლი 29*

**სოციალური კეთილდღეობა**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებმა წევრ სახელმწიფოში, რომელმაც მიანიჭა ასეთი დაცვა, მიიღონ

---

საჭირო სოციალური დახმარება, რომელიც იმ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის არის განსაზღვრული.

2. პირველ პუნქტში დადგენილი ზოგადი წესიდან გადახვევის საშუალებით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დამატებითი დაცვის სტატუსის მქონე ბენეფიციარების სოციალური დახმარება პირითადი სარგებლით შემოფარგლონ, რომელიც შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება იმავე დონეზე და იმავე დასაშვებობის პირობებით, როგორც მოქალაქეებისთვის.

### *მუხლი 30*

#### **ჯანმრთელობის დაცვა**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებისთვის ჯანდაცვა ხელმისაწვდომი იყოს იმავე პირობებით, როგორებსაც მოცემული წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები ექვემდებარებიან.

2. წევრმა სახელმწიფოებმა, იმავე პირობებით, როგორც იმ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის, რომელმაც მიანიჭა დაცვა, უნდა უზრუნველყონ ადეკვატური ჯანდაცვა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკური აშლილობის მკურნალობა, საერთაშორისო დაცვის ბენეფიციართათვის, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური საჭიროებები, როგორიცაა ორსული ქალები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, პირები, რომლებმაც გამოსცდეს წამება, გაუპატიურება და ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის სხვა მძიმე ფორმა და არასრულწლოვნებისთვის, რომლებიც აღმოჩნდნენ ნებისმიერი სახის დარღვევის, უყურადღებობის, ექსპლუატაციის, წამების, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი, ან რომლებიც დაზარალდნენ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, იმავე პირობებით, როგორებსაც მოცემული წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები ექვემდებარებიან.

### *მუხლი 31*

#### **თანმხლები პირების გარეშე მყოფი არასრულწლოვნები**

1. საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემდეგ შესაძლებლად მალე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყონ



---

თანმხლები პირების გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა კანონიერი მეურვის მიერ ან, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციის მიერ, რომელიც პასუხისმგებელი იქნება არასრულწლოვნებზე ზრუნვასა და მათ კეთილდღეობაზე, ან ნებისმიერი სხვა სათანადო წარმომადგენლობა, მათ შორის, კანონმდებლობის ან სასამართლოს ბრძანების საფუძველზე.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არასრულწლოვანთა საჭიროებები სათანადოდ იქნას დაკმაყოფილებული ამ დირექტივის განხორციელებისას დანიშნული მეურვის ან წარმომადგენლის მიერ. შესაბამისმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ რეგულარული შეფასებები.

3. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ თანმხლები პირების გარეშე მყოფი არასრულწლოვნების განთავსებას:

(ა) ზრდასრულ ნათესავებთან; ან

(ბ) მიმღებ ოჯახთან; ან

(გ) სპეციალურ ცენტრებში, რომლებიც არასრულწლოვანთათვის საცხოვრებელს გამოყოფენ; ან

(დ) არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ სხვა საცხოვრებელ ადგილზე.

ამ კონტექსტში, ბავშვის შეხედულებები გათვალისწინებული უნდა იქნას მისი ასაკის შესაბამისად.

4. რამდენადაც შესაძლებელია, დედმამიშვილები უნდა განთავსდნენ ერთად, კონკრეტულ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების, კერძოდ, მათი ასაკის გათვალისწინებით. თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა საცხოვრებლის ცვლილებები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი.

5. თუ თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანს საერთაშორისო დაცვა ენიჭება და თავისი ოჯახის წევრების მოძიება ჯერ კიდევ არ დაწყებულა, წევრმა სახელმწიფოებმა მათი მოძიება საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემდეგ შესაძლებლად მალე უნდა დაიწყონ და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები დაიცვან. იმ შემთხვევაში, თუ პირის მოძიება უკვე დაიწყო, წევრი სახელმწიფოები კვლავაც განაგრძობენ მოძიების პროცესს, საჭიროების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სიცოცხლის ან არასრულწლოვანთა ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფის ან მათი ახლო ნათესავების მიმართ საფრთხე, განსაკუთრებით, თუ ისინი დარჩნენ წარმოშობის ქვეყანაში, სიფრთხილის ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა

---

უზრუნველყოფილი იქნას, რომ იმ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება კონფიდენციალურად განხორციელდეს.

6. ისინი, ვინც თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვნებთან მუშაობენ, ვალდებული არიან, ჰქონდეთ და კვლავაც გაიარონ შესაბამისი ტრენინგი მათ საჭიროებებთან დაკავშირებით.

### *მუხლი 32*

#### **საცხოვრებელი ადგილის ხელმისაწვდომობა**

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებისთვის საცხოვრებელი ხელმისაწვდომი იყოს იმავე პირობებით, როგორც მიემართებათ სხვა მესამე ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ მათ ტერიტორიებზე.

2. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული პრაქტიკით საერთაშორისო დაცვის ბენეფიციართა განცალკევება ნებადართულია, წევრი სახელმწიფოები შეეცდებიან, განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაცვის ბენეფიციართა დისკრიმინაციის პრევენციასა და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

### *მუხლი 33*

#### **წევრი სახელმწიფოს შიგნით გადაადგილების თავისუფლება**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარების გადაადგილების თავისუფლება თავისი ტერიტორიის ფარგლებში იმავე პირობებით და შეზღუდვებით, რომლებიც მათ ტერიტორიებზე კანონიერად მცხოვრები სხვა მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის არის გათვალისწინებულია.

### *მუხლი 34*

#### **ინტეგრაციის საშუალებების ხელმისაწვდომობა**

იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარების საზოგადოებასთან ინტეგრაციას, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინტეგრაციის პროგრამებს, რომლებსაც შესაბამისად მიიჩნევენ, რათა

---

გაითვალისწინონ ლტოლვილის სტატუსის ან დამატებითი დაცვის სტატუსის მქონე ბენეფიციარების კონკრეტული საჭიროებები ან შექმნან წინაპირობები, რომლებიც უზრუნველყოფს ასეთი პროგრამების ხელმისაწვდომობას.

### *მუხლი 35*

#### **რეპატრიაცია**

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დახმარება გაუწიონ საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებს, რომელთაც სურთ რეპატრიაცია.

### **თავი VIII**

#### **ადმინისტრაციული თანამშრომლობა**

### *მუხლი 36*

#### **თანამშრომლობა**

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დანიშნოს ეროვნული საკონტაქტო პირი და მისი მისამართი კომისიას აცნობოს. კომისია ამ ინფორმაციას სხვა წევრ სახელმწიფოებს მიაწვდის.

წევრი სახელმწიფოები კომისიასთან შეთანხმებით პირდაპირი თანამშრომლობის დასამყარებლად და კომპეტენტურ ორგანოებს შორის ინფორმაციის გასაცვლელად ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ.

### *მუხლი 37*

#### **პერსონალი**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ხელისუფლებამ და სხვა ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ ამ დირექტივას, გაიარონ აუცილებელი ტრენინგი და მუშაობის პერიოდში მოპოვებულ ნებისმიერ ინფორმაციასთან

---

დაკავშირებით კონფიდენციალურობის პრინციპი დაიცვან, როგორც ეს ეროვნულ კანონმდებლობაშია განსაზღვრული.

## თავი IX

### დასკვნითი დებულებები

#### *მუხლი 38*

#### ანგარიშები

1. 2015 წლის 21 ივნისს, კომისია ევროპარლამენტსა და საბჭოს წინამდებარე დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით ანგარიშს ჩააბარებს და ნებისმიერ აუცილებელ ცვლილებას შესთავაზებს. შესწორებების შეტანის შესახებ წინადადებები უნდა განხორციელდეს პრიორიტეტის მიხედვით, მე-2 და მე-7 მუხლებში. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას 2014 წლის 21 დეკემბრამდე უნდა გაუგზავნონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ასეთი ანგარიშში უნდა აისახოს.
2. ანგარიშის წარდგენის შემდეგ კომისიამ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს ამ დირექტივის გამოყენების შესახებ ანგარიში მინიმუმ 5 წელიწადში ერთხელ უნდა წარუდგინოს.

#### *მუხლი 39*

#### ტრანსპოზიცია

1. წევრი სახელმწიფოები აამოქმედებენ კანონებს, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომელთა შესრულებაც აუცილებელია 1, 2, 4, 7, 8, 9, 10, 11, 16, 19, 20, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34 და 35 მუხლების შესაბამისად 2013 წლის 21 დეკემბრამდე. მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიას ამ დებულებების ტექსტი.

როცა წევრი სახელმწიფოები მიიღებენ ამ დებულებებს, ისინი უნდა შეიცავდეს ამ დირექტივაზე მითითებას ან, მათი ოფიციალური გამოცემის შემთხვევაში, თან უნდა ახლდეს ასეთი მითითება. ისინი ასევე უნდა მოიცავდეს განცხადებას, რომ არსებულ კანონებში, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ დებულებებში მითითებები

---

დირექტივაზე, რომელიც ამ დირექტივის თანახმად გაუქმდა, განიმარტება, როგორც წინამდებარე დირექტივაზე მითითება. მსგავსი მითითების ფორმულირებას წევრი სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აცნობონ კომისიას იმ ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი დებულებების ტექსტი, რომელსაც შეეხება ეს დირექტივა.

#### *მუხლი 40*

#### **გაუქმება**

იმ წევრი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ამ დირექტივის თანახმად ეკისრებათ ვალდებულება, 2013 წლის 21 დეკემბრიდან 2004/83/EC დირექტივა უქმდება, I დანართის „ბ“ ნაწილში დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციისთვის საჭირო დროსთან დაკავშირებით მოცემული წევრი ქვეყნების ვალდებულებების დარღვევის გარეშე.

წევრი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ამ დირექტივის თანახმად ეკისრებათ ვალდებულება, მითითება გაუქმებულ დირექტივაზე უნდა გაკეთდეს, როგორც წინამდებარე დირექტივაზე მითითება და უნდა განიხილებოდეს II დანართში მოცემული კორელაციის ცხრილის შესაბამისად.

#### *მუხლი 41*

#### **ძალაში შესვლა**

წინამდებარე დირექტივა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს შევა ძალაში.

1, 2, 4, 7, 8, 9, 10, 11, 16, 19, 20, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34 და 35 მუხლები ვრცელდება 2013 წლის 22 დეკემბრიდან.

#### *მუხლი 42*

#### **ადრესატები**

---

ეს დირექტივა შეეხება წევრ სახელმწიფოებს, ხელშეკრულებების შესაბამისად.

მომზადებულია სტრასბურგში, 2011 წლის 13 დეკემბერს.

ევროპის პარლამენტის სახელით

პრეზიდენტი

ჯ. ბუზევი

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი

მ. სპუნარი

---

([1](#)) [OJ C 18, 19.1.2011, გვ. 80.](#)

([2](#)) ევროპარლამენტის 2011 წლის 27 ოქტომბრის პოზიცია (ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს 2011 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება.<sup>ii</sup>

([3](#)) [OJ L 304, 30.9.2004, გვ. 12.](#)

([4](#)) [OJ L 255, 30.9.2005, გვ. 22.](#)

---

**I დანართი**

„ა“ ნაწილი

გაუქმებული დირექტივა  
(მოხსენიებულია მე-40 მუხლში)

2004/83/EC საბჭოს დირექტივა	( <a href="#">OJ L 304, 30.9.2004, გვ. 12</a> ).
-----------------------------	--

„ბ“ ნაწილი

ვადა ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციისთვის

(ნახსენებია 39-ე მუხლში)

დირექტივა	ვადა ტრანსპოზიციისთვის
2004/83/EC	2006 წლის 10 ოქტომბერი

**II დანართი**

**კორელაციის ცხრილი**

2004/83/EC დირექტივა	წინამდებარე დირექტივა
1 მუხლი	1 მუხლი
მე-2 მუხლი, შესავალი სიტყვა	მე-2 მუხლი, შესავალი სიტყვა
მე-2 (ა) მუხლი	მე-2 (ა) მუხლი
—	მე-2 (ბ) მუხლი
მე-2 (ბ)-(გ) მუხლი	მე-2(გ)-(ჰ) მუხლი
—	მე-2(ი) მუხლი
მე-2(ჰ) მუხლი	მე-2(ჯ) მუხლი პირველი და მეორე აბზაცი
—	მე-2(ჯ) მესამე აბზაცი
—	მე-2(კ)
მე-2(ი) მუხლი	მე-2(ლ)
მე-2(ჯ) მუხლი	მე-2(მ)
მე-2(კ) მუხლი	მე 2(ნ)

მე-3 მუხლი	მე-3 მუხლი
მე-4 მუხლი	მე-4 მუხლი
მე-5 მუხლი	მე-5 მუხლი
მე-6 მუხლი	მე-6 მუხლი
მე-7 მუხლი	მე-7 მუხლი
მე-8(1)(2) მუხლი	მე-8(1)(2) მუხლი
მე-8(3) მუხლი	—
მე-9 მუხლი	მე-9 მუხლი
მე-10 მუხლი	მე-10 მუხლი
11(1)(2) მუხლი	11(1)(2) მუხლი
—	11(3) მუხლი
მე-12 მუხლი	მე-12 მუხლი
მე-13 მუხლი	მე-13 მუხლი
მე-14 მუხლი	მე-14 მუხლი
15 მუხლი	15 მუხლი
16(1)(2) მუხლი	16(1)(2) მუხლი
—	16(3) მუხლი
მე-17 მუხლი	მე-17 მუხლი
მე-18 მუხლი	მე-18 მუხლი
მე-19 მუხლი	მე-19 მუხლი
20(1)-(5) მუხლი	20(1)-(5) მუხლი
20(6)(7) მუხლი	—
21-ე მუხლი	21-ე მუხლი
22-ე მუხლი	22-ე მუხლი
23(1)	23(1) მუხლი
23(2) მუხლის პირველი ქვეპუნქტი	23(2) მუხლი
23(2) მუხლის მეორე ქვეპუნქტი	—
23(2) მუხლის მესამე ქვეპუნქტი	—



23(3)-(5) მუხლი	23(3)-(5) მუხლი
24(1) მუხლი	24(1) მუხლი
24(2) მუხლი	24(2) მუხლი
25 მუხლი	25 მუხლი
26(1)-(3) მუხლი	26(1)-(3) მუხლი
26(4) მუხლი	—
26(5) მუხლი	26(4) მუხლი
27(1)(2) მუხლი	27(1)(2) მუხლი
27(3) მუხლი	28(1) მუხლი
—	28(2) მუხლი
28(1) მუხლი	29(1) მუხლი
28(2) მუხლი	29(2) მუხლი
29(1) მუხლი	30(1) მუხლი
29(2) მუხლი	—
29(3) მუხლი	30(2) მუხლი
30-ე მუხლი	31-ე მუხლი
31-ე მუხლი	32(1) მუხლი
—	32(2) მუხლი
32-ე მუხლი	33-ე მუხლი
33-ე მუხლი	34-ე მუხლი
34-ე მუხლი	35-ე მუხლი
35-ე მუხლი	36-ე მუხლი
36-ე მუხლი	37-მუხლი
37-ე მუხლი	38-მუხლი
38-ე მუხლი	39-ე მუხლი
—	მე-40 მუხლი
39-ე მუხლი	41-ე მუხლი
მე-40 მუხლი	42-ე მუხლი

—	I დანართი
—	II დანართი

---